ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მღებრიშვილი

ივანე მაჩაბელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მღებრიშვილი

ივანე მაჩაბელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მღებრიშვილი

ივანე მაჩაბელი

(ცხინვალის ქართული
პერიოდიკის მიხედვით)
გარდაცვალებიდან 100
წლისთავისადმი მიძღვნილი
საიუბილეო გამოცემა

გორი
1998

ამ პატარა წიგნის აკეთილი, ისევე როგორც მრავალ ქართველის, თავისებური ბედი აქვს ქართველებით აღსავსე აწმყომ. იგი მეცხრე კლასის მოსწავლე იყო, როდესაც ოსური—ქართული კონფლიქტის გამო მისი ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი ცხინვალი. ალექსანდრე მეიერხოლდის დედულეთში — კასპში მოუწია სკოლის დამთავრებამ, შემდეგ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (გორში) ისტორია—ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

აკეთილის მეხსიერებაში მუდმივად ცოცხლდებოდა მოგონებები ბავშვობის ქალაქზე, გაზეთ „სამეჭითა ოსეთის“ რედაქციაზე, სადაც დედამისი მუშაობდა და სადაც მას ხშირად უწევდა ყოფნა. ამ გრძნობამ მიიყვანა იგი იტალიაც, ერთად შეეწყალა ალისა ბერეტინელი. ეს ანბანი მას უფრო განუმტკიცა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დიალექტ აკადემიკოს ალექსანდრეს მხარეში ყოფნამ და ხელეწყობამ და, აი ახალგაზრდა კაცი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიუვლა დრო—ყმანაგებ ვადაყოფილებელ, გაკრეკილ ფურცლებს, იგი მიძღებულ მასალებს პერიოდულად აქვეყნებდა გაზეთებში: „ალა ქართლი“, „ცხინვალი“, „ლიტერატურული ცხინვალი“. ამათში წარმოჩენილი იყო ამ კუთხის წარსული — ეს იყო ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის თუ სხვა სფერო. გაზეთზე დაწერილმა მუშაობამ იმდენად ფართო სასაათო მიიღო, რომ ალექსანდრე მეიერხოლდის დღეს წარმოვიდგენდა, როგორც ცხინვალის ქართული პერიოდული გამოცემის მკვლევარი. ამ თემამ მიიყვანა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლობამდე. პარალელურად იგი მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონალური განყოფილების გაზეთში „ლიტერატურული ცხინვალი“. ანის საქართველოს ეროვნალისტთა ფედერაციის წევრი.

ახალგაზრდა მეცნიერმა სასტრეული პუბლიკაციები უძღვნა იოანე მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დიდი ქართველი მამულიშვილის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოდა სრულიად მათი წიგნად გამოცემისა. აკეთილმა ნაშრომი ახალი მასალებით შეავსო და ღვეს იგი თქვენს წინაშეა.

გასაგებია ახალგაზრდა მეცნიერის ძღელვარებაც, მაგრამ ძთავაარი ისაა, რომ ამ წიგნის შექმნას დიდი სიყვარული უძღოდა წინ. აკეთილი ცდილობს შეეხოს თამარაშვილი გეოლოგის ძრაყალმხრიგი მიდგაწეობის ყველა სფეროს, რადგან „მეცნარამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ სანამდგილეებში არ ყოფილა რაიმე ღირსეული საქმე, რომელშიც ჩვენს თანამემამულეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს.“

თუ როგორ შესძლო მან ჩანაფიქრის განხორციელება, მკითხველმა განსაჯოს.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — ნელი ჩალაური

საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის
რეგიონალური ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი

IV. მაჩაბელი და ცხინვალის ქართული გაზეთი თეატრალური ცხოვრების შესახებ

თეატრალურ ცხოვრებას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის უმდიდრესი ისტორია აქვს. საერთოდ, XIX საუკუნეში ამ სფეროს მეტი გამოცოცხლება დაეტყო. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთობ სასიამოვნო ფაქტი იმის თაობაზედ, რომ XIX ს. I ნახევრის სამაჩაბლო ერთგვარ თეატრალურ ცენტრადაც კი იქნა აღიარებული. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, რაზედაც მინდა დავიმოწმო 1995 წლის დეკემბრის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", რომლის ფურცლებზეც გამოქვეყნებულია შესანიშნავი ქართველი მწერლის და მთარგმნელის, ვახტანგ ჭელიძის წერილი სახელწოდებით „სოფელი ქართლის გულში", მიძღვნილი ოთარ ჩხეიძის 70 წლის თავის იუბილესთან დაკავშირებით.

„XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცხინვალი ამ მხარის ერთგვარი თეატრალური ცენტრიც გახდა. იმ დროინდელი გაზეთების ფურცლები რომ გადავათვალიეროთ, ხშირად შევხვდებით ქრონიკებს ამა და ამ დღეს ცხინვალში ქართული

წარმოდგენა გაიმართებაო. დიდი სიხარულის მომტანი იყო ეს წარმოდგენები თვით ქალაქისთვისაც და ახლომახლო სოფლებისთვისაც.

საგაზეთო განცხადებებსა თუ აფიშებზე, როგორც იმ ძველ, კეთილ დღეებში იცოდნენ ხოლმე, ჩამოთვლილი იყო წარმოდგენაში მონაწილე მსახიობთა გვარები - ჯერ უსათუოდ მანდილოსნები და მერე მამაკაცები! ანუ როგორც მაშინ წერდნენ, ჯერ ქალნი და მერე ვაჟნი. წარმოდგენები უმთავრესად მაჩაბლის თაოსნობით იმართებოდა და, რაღა თქმა უნდა მათივე მონაწილეობით. ერთ ქრონიკას მოვიყვან, მკითხველს ალბათ დააინტერესებს. იგი მოთავსებულია სერგეი მესხის გაზეთ დროებაში და დათარიღებულია 1875 წლის აგვისტოთი.

„ცხინვალი, 31 აგვისტო. ამ ცოტა ხანში გორში სამჯერ იყო ქართული წარმოდგენა. ერთი გორში და ორიც ცხინვალში... ცხინვალში წარმოადგინეს „გაყრა“ გ. ერისთავისა, აგვისტოს 31-1 კვირა დღეს. საზოგადოდ წარმოდგენა ისე მშვენივრად წავიდა, რომ თვით თბილისშიაც იშვიათია ხოლმე ასე კარგად წარმოდგენა. კაცებში უნაკლოდ აღასრულეს თავიანთი როლები ზაალ მაჩაბელმა - პავლეს როლი, ივანე მაჩაბელმა - ივანეს როლი, ნატო გაბუნიამ - სეკრეტარის როლი. დანარჩენთაც ურიგოდ არ უთამაშნიათ. განსაკუთრებით ქებისა და პატივისცემის ღირსნი არიან მოთამაშე ქალები. ნინოს და შუშანას როლები აღასრულა ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე მაჩაბელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჩაბლისამ, მაკრინესი და თათულასი – ეფემია მაჩაბლისამ, ყარდაშვერდისა – ა. ალექსეევისამ. სამივემ თავიანთი როლები კარგად აღასრულეს, მაგრამ უმშვენიერესად, უნაკლოდ და სწორედ არტისტულად აღასრულა თავისი როლი ეფემია მაჩაბლისამ... ხალხი იმდენი იყო, რამდენიც დაეტეოდა ზალაში..“

ცხინვალში გამართულ წარმოდგენებს ახლომახლო სოფლებიდანაც ესწრებოდა ხალხი. მოდიოდნენ ცხენებით, ურმითაც კი, წარმოდგენის შემდეგ ღამეს იქვე ახლობლებთან ათევდნენ. გაიშლებოდა სუფრა და, საუბრობდნენ, მღეროდნენ, ილხენდნენ, გარდასულ დროს გაიხსენებდნენ..“

პირველი ქართული თეატრი აღდგა 1850 წელს, რომელმაც სულ რაღაც ოთხიოდე წელი იარსება. ხალხი ოცნებობდა თეატრის გახსნაზე, მაგრამ ეს მაშინ უდიდეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მუდმივი ქართული თეატრის დაარსება და თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბება ხერხდება მხოლოდ 1875 წელს. ფრთები ესხმება ერის საუკეთესო შვილების მრავალწლოვან ოცნებას.

მანამდე კი, ბავშვობიდანვე სცენით გატაცებული, თვითონაც ღრმა მოხუცებულობამდე ქართული თეატრის ტრფიალით მოსულდგმულე ქართული ენის მასწავლებლის, პეტრე უმიკაშვილის ნამოწაფარი ახალგაზრდა ვანო მაჩაბელი თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით პეტერბურგში ბანკის საქმეებზე ჩასული ილიას ყურად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღებას დაიმსახურებს. ვანოს ძმის, ვასო მაჩაბლის მეშვეობით შემდეგში მათი ურთიერთობა გულითად მეგობრობაში გადაიზრდება. „პეტერბურგში კი პატარა სტუდენტურ ოთახში მისჯდომიან მაგიდას და შექსპირის ტრაგედიებს ჩაჰკირკიტებენ, რომ ახალ თეატრს, რომლის დაფუძნებასაც დღე-დღეზე მოელის ქართველი საზოგადოება, ახალი შესანიშნავი პიესითშეხვდნენ.“ (ვ. ჭელიძე, „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“).

ვანო სათავეში უდგება პეტერბურგელ სტუდენტთა წრეს. დაულალავად შრომობს. თარგმნის შექსპირს, მოლიერს, გოლდონს, 1879 წელს პეტერბურგშივე მართავს რამოდენიმე ქართულ წარმოდგენას.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თეატრი გამოირჩეოდა რეპერტუარის სიღატაკით, ამდენად საკვლევით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ თეატრის მესვეურნი ხშირად მიმართავდნენ შექსპირს. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა მისათითებელია დიდი ილიასი და ლიახვისპირელი გენიოსის ივანე მაჩაბლის ამაგი, რომელიც დასდეს მათ ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინება განვითარებას. როგორც ნ. ყიასაშვილი მიუთითებს: შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ილია ჭავჭავაძის და, განსაკუთრებით ივანე მაჩაბლის, როგორც ძირითადი მთარგმნელის როლი მხოლოდ და მხოლოდ შესპირის ტექსტის გადმოქართულებით ამოიწურებოდეს. „მეფე ლირის“, „ჰ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამლეტის“, „ოტელოსა“ თუ „მაკბეტის“ ქართული თარგმანები, ამავე დროს, შექსპირის თავისებურ, ღრმა ინტერპრეტაციას წარმოადგენენ. ილიასა და ივანე მაჩაბელს შესანიშნავად ესმოდათ შექსპირის შემოქმედების არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური სრულფასოვნება, არამედ მისი დიდი, ღრმად ჰუმანისტური მსოფლმხედველობრივი საფუძვლებიც. სწორედ შექსპირისადმი ამ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურმა ნათესაობამ შვა როგორც ბრწყინვალე თარგმანები, ისევე შესანიშნავი ქართული შექსპირული თეატრიც.

1888 წელს ცალკე წიგნად გამოდის „ოტელოს“ თარგმანი, რომელსაც უდიდესი შეფასება მისცა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილით ალ. სარაჯიშვილმა.

„ბ-ნი მაჩაბელი შეუდგა უდიდესი პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას პირდაპირ ინგლისურის ენიდგან. წელს დაბეჭდა „ჰამლეტი“ და „ოტელო“ შექსპირისა.. მაჩაბლის შრომა პირველი ნაბიჯია სისტემატიურის და შეუწყვეტელის თარგმანებისა და, უნდა ვთქვათ, სწორე ნაბიჯიც, რადგანაც თარგმანი კარგის ენით არის შესრულებული.“ („ივ.მაჩაბელი“ ვ.ჭელიძე გვ.236).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მაჩაბლისეული ქართულით აჟღერებული თარგმანები სწორუპოვარი გახლდათ. ნათქვამის კიდევ ერთხელ დასადასტურებლად ზემოთ დასახელებული ფაქტების გვერდით კიდევ ერთი შესანიშნავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაქტის გამოხმობა გვსურს. ოლივერ უორდროპი მაჩაბლისადმი გამოგზავნილ ბარათში წერს:

„... თქვენს მიერ თარგმნილ „იულიოს კეისრით“ შეგიძლიათ იამაყოთ. ეს თქვენს გენიალობასაც ამტკიცებს და თქვენი ენის საოცარ სიმდიდრესაც. მე ხელთა მაქვს ამავე პიესის ახალი ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული გამოცემები, მაგრამ თქვენს თარგმანს ვერცერთი ვერ შეედრება. თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ, რომ, თუ თანამედროვეები ვერ გაფასებენ სათანადოდ, შთამომავლობა დაგაფასებთ და თაყვანსა გცემთ.“

უდიდესი დამსახურება მაჩაბლისა სწორედ ის არის, რომ მან შესძლო მოენახა ყველა ნაწარმოების გასაღები, ჩასწვდომოდა ორიგინალის სიღრმესა და დედააზრს, წერდა, თარგმნიდა, ებრძოდა დიდი გენიოსის ჯადოსნურ სტრიქონებს.

სწორედ ასეთი ტრიუმფალური სვლით შეეგება სამაჩაბლოს ქართული სასცენო ცხოვრება XX საუკუნის პირველ ათწლეულებს. ცნობილი მიზეზების გამო ცხინვალში 30-იანი წლებიდან გამოდიოდა ერთადერთი ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასში სისტემატიურად იბეჭდებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში მომხდარი მეცნიერული თუ კულტურული ძვრების შესახებ.

ასე მაგალითად, 1936 წ. (7იანვარს) ფართო ადგილი ეთმობა მასალებს ცხინვალის სახ. თეატრის რეპერტუარის შესახებ. ამჯერად საუბარი

ეხება რეჟისორ ვ. მურღულიას თაოსნობით გამართულ შ.კვარკინის პიესას „ვისია?“ წერილის ავტორები ალ. ზასსეთი და ჟ. ზიგოითი აღნიშნავენ: „პიესა „ვისია?“ ჩატარდა წარმატებით. ახალგაზრდა კოლექტივმა უეჭველად დასძლია პიესა. ყველანი ერთსულოვნად და მოხდენილად ასრულებდნენ თავიანთ როლებს, რაც მაყურებლებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა...“

იმავე წლის 1 ივლისის ნომერში ნათქვამია: „20 ივნისს ქ. სტალინირის სახ. თეატრში დაიწყო საქ. ღარიბკომის დრამსტუდიის გასტროლები. მათ წარმოადგინეს დრამა „მუნჯები ალაპარაკდნენ“.

სცენარის ავტორი გახლავთ გერცელ ბააზოვი, დამდგმელი რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი თამარ აბაკელია.

იგივე წერილიდან ვიგებთ, რომ დიდი წარმატებით დაიდგა მათივე პიესები „გაგრძელება იქნება“ და „ახასაოლას ნანგრევებზე“.

სტალინირის სახელმწიფო თეატრში გამართულ წარმოდგენაზე მოგვითხრობს 1937 წლის 30 ივლისის გაზეთიც, სადაც აღნიშნულია, რომ დაიდგა პიესა „პლატონ კრეჩეტი“. დადგმა ვ. მურღულიასი, მხატვრული გაფორმება ც. გაზდანოვისა.

პიესა (ა. კორნეიჩუკისა) წარმოადგენს დრამატურგიის უძვირფასეს ნიმუშს. მასში ბრწყინვალედაა გადაჭრილი ჰუმანიზმის პრობლემა, რაც გულისხმობს ზრუნვას ადამიანზე. მთელი მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭისა და უნარის გაშლაზე.

სტალინირში ეს პიესა 1935–36 წლების სეზონში წარმატებით დაიდგა ოსურ ენაზეც.

სტატიის დასასრულს ადგილი ეთმობა ავტორის (ჟორა ძიგოევი) მცირე რეცენზიას.

ვფურცლავთ ამ მრავალნაჭირნახულები გაზეთის ძველისძველ, დროისაგან გაყვითლებულ ფურცლებს და გაზეთის მხედველობის არეში კვლავ თეატრალური ცხოვრებაა; (1940 წ. 5-6 სექტემბერი). ამჯერად საგაზეთო მასალა ეხება კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებს თბილისში. თეატრის კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგა ორი სპექტაკლით „ზინგი“ და „დუნია“. კოლექტივს ა. გუკაევა, ლ. ჯიჯოევა, ნ. ჩაბიევა, ა. მაგკაევი, ძ. ძახოვი, ვ. ქაიროვი და სხვ. დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით უმუშავია და მოწონებაც დაუმსახურებია.

თეატრის გასტროლებზეა საუბარი 1936 წლის 24 ივლისის ნომერშიც. ამჯერად ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრს მასპინძლობს სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრი. საგასტროლო რეპერტუარში შედიოდა პიესები: ვ. გოლდონის „ცრუ“, ო. ბალზაკის „პამელია ჟირო“, მოლიერის „მფრინავი ექიმი“. 26-27-ში დაიდგა „პლატონ კრეჩეტი“. ხოლო 28-29-ში „გაქცევა“, რითაც გასტროლები დასრულდა. დასი ჩამოსული იყო 40 კაცის შემადგენლობით. ხელმძღვანელი გახლდათ რეჟისორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიჭისა და უნარის გამლაზე.

სტალინირში ეს პიესა 1935–36 წლების სეზონში წარმატებით დაიდგა ოსურ ენაზეც.

სტატიის დასასრულს ადგილი ეთმობა ავტორის (ჟორა ძიგოევი) მცირე რეცენზიას.

ვფურცლავთ ამ მრავალნაჭირნახულები გაზეთის ძველისძველ, დროისაგან გაყვითლებულ ფურცლებს და გაზეთის მხედველობის არეში კვლავ თეატრალური ცხოვრებაა; (1940 წ. 5-6 სექტემბერი). ამჯერად საგაზეთო მასალა ეხება კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებს თბილისში. თეატრის კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგა ორი სპექტაკლით „ზინგი“ და „დუნია“. კოლექტივს ა. გუკაევა, ლ. ჯიჯოევა, ნ. ჩაბიევა, ა. მაგკაევი, ძ. ძახოვი, ვ. ქაიროვი და სხვ. დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით უმუშავია და მოწონებაც დაუმსახურებია.

თეატრის გასტროლებზეა საუბარი 1936 წლის 24 ივლისის ნომერშიც. ამჯერად ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრს მასპინძლობს სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრი. საგასტროლო რეპერტუარში შედიოდა პიესები: ვ. გოლდონის „ცრუ“, ო. ბალზაკის „პამელია ჟირო“, მოლიერის „მფრინავი ექიმი“. 26-27-ში დაიდგა „პლატონ კრეჩეტი“. ხოლო 28-29-ში „გაქცევა“, რითაც გასტროლები დასრულდა. დასი ჩამოსული იყო 40 კაცის შემადგენლობით. ხელმძღვანელი გახლდათ რეჟისორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენა მარკოვა, ხოლო დირექტორი კი ყამბულათ სილბიევი. სპექტაკლები მიდიოდა დიდი წარმატებით და აუარებელი ხალხი ესწრებოდა.

საერთოდ 1939 წლის გაზეთი გამოირჩევა მასალების სიუხვით, რომლებიც ზედმიწევნით ასახავს ამ პერიოდის თეატრალური ცხოვრების მაჯისცემას. ერთობ სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ „საბჭოთა ოსეთს“ მხედველობიდან არ რჩება რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა დადიანის საიუბილეო თარიღი სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი. იქვე ნათქვამია: „ამ თარიღთან დაკავშირებით შექმნილია საიუბილეო კომისია რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისრის გ. კიკნაძის თავმჯდომარეობით და ეს ღონისძიება ჩატარდება 31 იანვარს თბილისში ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში.“

სტატიის ავტორი, პროფ. შ.გოზალიშვილი, აღნიშნავს, რომ შ. დადიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული თეატრის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მან თავისი მოღვაწეობის მანძილზე დადგა 105 პიესა, შეასრულა 200-მდე სხვადასხვა სახის როლი, მის კალამს ეკუთვნის 40-მდე დრამატული ნაწარმოები და სხვა.

ორიოდე სიტყვით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ: „არანაკლები ნაყოფიერი მუშაობა გასწია შალვა დადიანმა 45 წლის იუბილის შემდეგ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერძოდ ორმოცდაათიან წლებში მან დაამთავრა თავისი ტრილოგიად ჩაფიქრებული წიგნის „მენჯი რობუს“ პირველი ნაწილი „გვირგვილიანების ოჯახი“. სხვა ნაწილების შექმნა მწერალს არ დასცალდა.“

სიცოცხლის ბოლო წლებში შ. დადიანმა დაწერა მემუარების შესანიშნავი წიგნი „რაც გამახსენდა“. მასვე ეკუთვნის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“.

მეოცე საუკუნის ქართული დრამატურგიის მამა შალვა დადიანი ჩვენი აქტიური თანამედროვე, მებრძოლი მწერალია.“ (უახლესი ქართ. ლიტ. ისტ. თბ. 1994 წ.)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზეთი მოურიდებლად ამხელს ცხინვალის თეატრალური ცხოვრების ნაკლოვანებებსაც. ნათქვამის დადასტურებაა 1935 წლის 14 ოქტომბრის ნომერში დასტამბული წერილი „სეზონის გახსნის დრო კარს მოგვდგომია, ქართულ დასს კი ჯერაც სძინავს“.

ასეთივე მკაცრი ტონითაა დაწერილი იმავე წლის 19 ნოემბერს, ამ პერიოდის გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის, ჟ. ძიგოევის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი რეცენზია, ოსური დრამატურგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ელბიზდიყო ბრიტაევის პიესის მიხედვით შექმნილ სპექტაკლზე „ხაზბი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორი გულისტკივილს გამოხატავს დამახინჯებული პიესის გამო, მაგრამ ბოლოს მაინც იმედიანად დასძენს: „ვიმედოვნებთ, რომ ნაკლოვანებათა გამოსწორებით სამხრეთ-ოსეთის სახ. თეატრი უფრო განამტკიცებს თავის მუშაობას და გახდებიან ერთ-ერთ მძლავრ კოლექტივად.“

დღეს, გახმაურებული ეთნოკონფლიქტის გამო, უმდიდრესი ტრადიციების მქონე ცხინვალის სახელმწიფო თეატრი, რომელიც დაფუძნებულია ერის საუკეთესო შვილების დიდი ჭაპანწყვეტის შედეგად, რომელიც სათავეს მაჩაბლების უდიდესი გვარისაგან იღებს და არსებობის 120 წელიწადს ითვლის, ბუნებაწამხდარი დგას უმწეოდ ქართულ სიტყვას, ვანო მაჩაბლის სიტყვას დანატრებული და იმედის თვალით გაჰყურებს გზას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე მაჩაბელი - ცხინვალის ქართული გაზეთის ფურცლებზე

ცხინვალის ქართული პრესა, მიუხედავად ცნობილი რთული პირობებისა, სათანადოდ აშუქებდა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებასა და შემოქმედებას. ნათქვამის დასტურია თამარაშნელი გენიოსის, შექსპირის მთარგმნელის ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი მასალები.

ივანე ურჯუმელაშვილი თავისი საგაზეთო წერილით „თამარაშნის საბავშვო სახლში" საინტერესო ცნობებს გვაწვდის სოფელ თამარაშენის დიდებული ბუნებისა. „50 წლის წინათ თამარაშენის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი ხალხის დიდი მწერლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ისინი მაჩაბლიანთ სახლის ფართო აივნიდან გასცქეროდნენ და სტკბებოდნენ ამ ულამაზესი კუთხის პეიზაჟით; დაბლა მოჰქუხს მდინარე ლიახვი, მარჯვენა მხარეს გაშლილია ბაღ-ვენახები, მდინარის იქით გასდევს მთაგრეხილები, ხოლო უფრო შორს აღმართულია ზამთარ-ზაფხულ დათოვლილი კავკასიონის მწვერვალები..." („ს.ო." 1955 წ. №42).

ჭეშმარიტად ბრძანებდა ბატონი ურჯუმელაშვილი. დიდი ილია არაერთხელ დამტკბარა მაჩაბელთა სამკვიდროს უზადო მშვენიერებით. იგი მთელი თავისი ცხოვრებისა და უაღრესად ნაყო-

ფიერი მოღვაწეობის მანძილზე მიზნად ისახავდა კავკასიის ხალხებს შორის ახლო ურთიერთობის დამყარებას.

ი. ჭავჭავაძის ოსებთან დაახლოებაში გარკვეული როლი შეასრულა მისმა სტუმრობამ თამარაშენში. როგორც ჩვენი ხეობის მკვიდრი ელისო მაჩაბელი იგონებს: ილია, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა იმდროინდელი ქართული კულტურის მოღვაწეებთან. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ქართული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში. იგი მთავარი ორგანიზატორი იყო 1879 წლის ქართული თეატრის აღდგენისა, რომელიც გიორგი ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ აღარ არსებობდა...

დიდი ოვაციებით შეხვდა თამარაშენის მოსახლეობა დიდბუნებოვანი მგოსნის სტუმრობას. ხალხის გულწრფელი სიხარულითა და ბუნების სინატიფით მოჯადოებული ილია გადაეხვია ზაალ მაჩაბელს და ესღა აღმოხდა: „ეს ბუნება უნიჭოს ნიჭს შესძენს და უხმოს აამღერებსო.“

მეორე დღისათვის ილიამ ვასიკო მაჩაბელს შვილი მოუნათლა. ნათლობა, რომელზეც მთელი სოფელი იყო მოწვეული, დიდი ზეიმით ჩატარდა.

ამ მოგზაურობის პერიოდში ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ოსეთის მშრომელთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. სწორედ ამის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასტურია მის მიერვე გამოქვეყნებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევი სათაურით: „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“. სადაც იგი ეძებს მთის ოსი მოსახლეობის დუხჭირი, ჩამორჩენილი ცხოვრების მიზეზებს.

რაც შეეხება აკაკი წერეთელს, ცნობილი ფაქტია ის ახლო მეგობრული ურთიერთობა, რომელიც აკავშირებდა მას იმავე ეპოქის და იმავე ბრწყინვალე კოჰორტის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, შექსპირის უბადლო მთარგმნელთან, ვანო მაჩაბელთან. მათ შორის მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აკაკის თამარაშენში პირველად სტუმრობის შემდეგ.

„თამარაშენისაკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმეში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა; წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებაო ამბობდა.“ (ვ. ჭელიძე - „ცხ. ივანე მაჩაბლისა“)

აკაკი განსაკუთრებით თამარაშენის მიდამოებს მოუხიბლავს და ამის შემდეგ იგი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ივანე მაჩაბელს თამარაშენში.

გადიოდა დრო, მაგრამ აკაკისადმი ქართველი ხალხის სიყვარული არ ნელდებოდა, რაღა თქმა უნდა გამონაკლისს ამ მხრივ არც ხსენებული სამაჩაბლოს მხარე წარმოადგენდა და არც იქ გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“. ათწლეულების უშორესი მანძილით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაშორებული მადლიერი შთამომავლობა პერიოდულად ბეჭდავდა ერთობ საინტერესო საგაზეთო სტატიებს და კვლავ ცდილობდა სამადლობელი სიტყვის თქმას.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვახტანგ სიდამონიძის სტატია „მოგონება ივანე მაჩაბელზე", რომელშიც მზის სინათლეზეა გამოტანილი ვანოს კიდევ ერთი დადებითი თვისება, ყოველგვარი უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლისა.

სახალხო განათლების ცნობილი მოღვაწე ალ. ნათაძე თავის 1919 წელს გამოქვეყნებულ წერილში მიუთითებს ეპიზოდზე როდესაც მან ვ. მაჩაბელი სპეციალურად ინახულა სკოლის საკითხებზე.

„ა. ნათაძე აღნიშნულ წერილში ვრცლად მოგვითხრობს ვ. მაჩაბლის, როგორც გამოჩენილი მოღვაწის შესახებ. ნაჩვენებია, თუ ის როგორ გულისხმიერად ეკიდებოდა ხალხის განათლების საქმეს. მოუწოდებდა მედგარი ბრძოლისაკენ, შეუპოვრობისაკენ, ხალხის სამსახურში თავდადებისაკენ. ნათაძის წერილი ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია." („ს.ო". 1961 წ. №71).

მოგვყავს შემოკლებული ამონარიდი სტატიიდან:

„ეს იყო 1881 წელს. ამ დროს სოფ. ზემო ჭალაში ვმსახურობდი სოფლის მასწავლებლად. იმავე წელს მაისის მიწურულში დირექტორი დარსკი მოვიდა სკოლის სარევიზიოდ. სამი საათი დარჩა. ბაასი გავმართეთ პედაგოგიურ საკითხებზე. აზრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკაკი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს ვერ შევუთანხმეთ. ერთმანეთს მტრულად დავშორდით.“ ავტორი მიუთითებს, რომ ახალგაზრდა მასწავლებელს გადაუწყვეტია სკოლა გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“. ამით თავისი მოქმედების ასპარეზი გაეფართოვებინა. სოფლის ექიმის რჩევით უნდა წასულიყო ქალაქში და მოლაპარაკებოდა ილიას და ივანე მაჩაბელს. ალ. ნათაძე ჩასულა თბილისში. ივანე მაჩაბლისათვის მიუკითხებია „დროების“ რედაქციაში: „გულის ღელვით ველოდი ჩვენი გამოჩენილი მოღვაწის ნახვას და მასთან საუბარს... მალე კაბინეტის კარი გაიღო და გამოვიდა ივანე მაჩაბელი. მომკიდა ხელი და კაბინეტში წამიყვანა. ბევრი რამ ველაპარაკე სოფლის სკოლაზე, სოფლის მოსწავლეების ყოფა-ცხოვრებაზედ. ბოლოს გავუზიარე ჩემი აზრი სკოლის გადაკეთების შესახებ. ვანოც სმენად იყო გადაქცეული...

– ბევრში მართალი ხარ, თქვენი სასოწარკვეთილი ლაპარაკი ღრღნის ამ ჩემს გულს. სისხლს მიმღვრევს, სისხლს მიშფოთებს, რა დროს თქვენი სასოწარკვეთილებაა? სად არის თქვენი ჭაბუკური გატაცება, უნარი ცხოვრებასთან ბრძოლისა?.. ჩემის აზრით, იმიტომ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ სკოლა იქ უნდა გახსნას, სადაც მასწავლებელი თავს ვერ დაიფარავს და უბრძოლველად დაემორჩილება ყველა პედაგოგიურ უკულმართობას. თქვენ კი შეგიძლიათ დაიცვათ სკოლა იმ განსაცდელისაგან. ბნელი ნათლით შესცვალოთ. მაგრამ... ეს ჩემი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზრია, ჩემი პირადი შეხედულება საქმეზედ და მოდი ილიასაც ვკითხოთ, გოგებაშვილსაც გავუზიაროთ ეგ თქვენი საკითხი?..“

„მაჩაბელთან ერთად წავედი ილიასთან – იგონებს ალ. ნათაძე – ილიას გაშლილმა შუბლმა და დიდებულმა სახემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ... ყველა კითხვაზედ მოწიწებით ვაძლევდი პასუხს... წინადადება მომცა ის ჩემი განზრახვა დამეწერა და საზოგადოების გამგეობისათვის მიმემართა.“

იგივე ნათაძე ივ. მაჩაბლის შესახებ ამბობს: „სულ მუდამ ჟამს, ახლაც კი ივანე მაჩაბლის მოგონებაში ვარ, სულ თვალწინ მიდგას მისი მადლიანი სახე, მისი ჩქარი, მჭევრმეტყველური სიტყვა აქამდისინ ყურს ეფინება, მისი ჩრდილი, თავაზიანი ქცევა არ შორდება ჩემს ხსოვნას; მამხნევებს და მასულდგმულებს მისი ჭაბუკური გატაცება, ქვეყნის სიყვარული და მისი დიდებული მოღვაწეობა: „სად არის ქვეყანა, რომ საზოგადო მოღვაწეს ფიანდაზად იასა და ვარდს უშლიდნენ, ცხოვრება ბრძოლაა და ვინც ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს, კაციც ის არის და ქუდიც იმას ჰ ხურებიაო.“ აკი საცოდავმა ამ ბრძოლას შეალია თავისი მოსიყვარულე და იმედებით სავსე გული.“ (იხ. გაზ. „თემი“ 1913 წ.)

ზემოთხსენებული საგაზეთო სტატია მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ვ. მაჩაბლის, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწისა და სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლებისათვის თავდადებული მებრძოლის დასახასიათებლად.

აქვე დავსძენთ, რომ მკვლევარმა ვ. სიდამონიძემ გამოაქვეყნა სტატია „ივანე მაჩაბელი - ოსთა ქომაგი.“ იგი რამოდენიმე საყურადღებო ფაქტს ეხება.

„1880 წლის ივნისში ი. მაჩაბელი გაზეთ „დროების“ რედაქციაში მისულა. რედაქტორი სერგეი მესხი სიხარულით შეჰგებებია და ურთიერთმოკითხვის შემდეგ უთხოვია: გეთაყვა, ვანო, ხელი წამაშველე, ბევრზე ბევრი წერილი და კორესპონდენცია შემოდის და ეგება გადახედო და გადაარჩიო რა გამოდგება დასაბეჭდად.

ვანომ გადაარჩია მასალები. მისი ყურადღება მიიპყრო წერილმა, რომელსაც ეწერა: „წერილი „დროების“ რედაქციას ბათუმიდან.“ წაიკითხა თუ არა, აღშფოთებამ შეიპყრო და თავისთვის ჩაილაპარაკა: ასეთი ბარათები ბათუმიდან, ისიც ჯარის ნაწილიდან წინათაც მიიღო რედაქციამ, მაგრამ ეტყობა არავინ ყურად არ იღო. ახლა კი ამის მოთმენა აღარ შეიძლება...“ („ს.ო.“ 1983წ. №44).

ხსენებულ წერილში საუბარია ქ. ბათუმში მდგომი ოსი ჯარისკაცების პოლკში გამეფებულ უწესრიგობასა და ოფიცერთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე, რაც რიგითი ჯარისკაცების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

ივანე მაჩაბელმაც გადაწყვიტა სათანადო პასუხის გაცემა და ოდნავ მაინც რომ შეემსუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუქებინა ჯარისკაცთა მდგომარეობა, დაწერა წერილი „ოსების საჩივარი“. წერილში იგი ამხელს ოფიცრების თავგასულობას და ემხრობა „ათას, ტანჯვა-წვალება გამოვლილ ოსებს, რომელთაც მადლობის მაგიერათ, მათი უფროსები უკანასკნელს დაობებულ პურსაც კი შუაზედ უტეხენ და თავის უძირო ხურჯინში ჰყრიან...“ (გაზ. „დროება“, 1880წ. №120).

ი. მაჩაბლის „ოსთა საჩივარი“ საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა, ესარჩლებოდა და იცავდა იგი თვითმპყრობელური ჩაგვრისაგან საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა, კერძოდ, ოსთა უფლებებსა და ინტერესებს.

1974 წლის 8 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია დოცენტ ავთანდილ ცოტნიაშვილის სტატია სათაურით „სასიქადულო მამულიშვილი“, რომელიც ეძღვნება ივ. მაჩაბლის დაბადების 120 წლისთავს.

ავტორი მიმოიხილავს ივ. მაჩაბლის მოსწავლეობისა და სტუდენტობის პერიოდს. მოვიყვანთ ნაწილს საგაზეთო მასალიდან.

„ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართულ სინამდვილეში არ ყოფილა რაიმე ღირსეული საქმე, რომელშიც ჩვენს თანამემამულეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს.

იმ დროის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ქართული თეატრის ბედი ითვლებოდა და ი. მაჩაბელიც თეატრის უანგარო თაყვანისმცემელი ხდება. „მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენა ქართული თეატრის კედლებში ერთგვარი სენსაცია იყო... სწორედ იმ ხანებში ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა დრამატიული საზოგადოების მუხლებრივი წესდება, საქართველოში თეატრის და სასცენო ხელოვნების გასავრცელებლად. ამ კომისიაში მთავარ როლს თამაშობდა ვანო მაჩაბელი,"–იგონებს ერთი მისი თანამედროვე.

პატრიოტი მოღვაწე სპეციალურად ქართული თეატრისათვის თარგმნის პიესებს, რომლებიც ისტორიას ვერ შემორჩა და არც მაჩაბელს – მთარგმნელს შეემატა რაიმე ღირსება, მაგრამ ახლად ფეხადგმული ქართული სცენისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს პიესებია: „ორ ცეცხლშუა", „ცქრიალა საძაგელი", „ჟან ბოდრი" და სხვ. ხოლო როცა ქართულ თეატრს მოევლინა რამდენიმე კორიფე, ი. მაჩაბელი უკვე იწყებს თარგმნას თავისი მოწოდებისამებრ. იგი უბრუნდება „მეფე ლირის" ავტორს. და ამით გამოჩენილ სპეციალისტთა აზრით, დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი მსოფლიო მთარგმნელობითი ხელოვნების ისტორიაში. თამარაშნელმა ტალანტმა შექსპირის 8 ტრაგედია თარგმნა და თავისი თარგმანებით მაჩაბელი ყოველთვის ავტორის კონგენიალურად და მეტოქედ გვევლინება (ვ. ჭელიძე. წერილები, ლიტერატურული პორტრეტები, გვ. 164)."

ავტორი დასძენს, რომ „მაჩაბელმა–მთარგმნელმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისეთივე წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, როგორც ილიამ, აკაკიმ და გოგებაშვილმა თავიანთი ორიგინალური ნაწარმოებებით.

ლიახვისპირელი გენიოსის „ივერიაში“ ჟურნალისტური მოღვაწეობის მიმოხილვაა იმავე ავტორის წერილი „როგორც გონება ჩვენი ჰჭრიდა...“ იგი ეძღვნება ივანე მაჩაბლის დაბადებიდან 135 წლისთავს.

„ივანე მაჩაბელი 1879 წ. დაბრუნდა სამშობლოში და მაშინვე ი. ჭავჭავაძის თხოვნით მუშაობა დაიწყო ჟურნალ „ივერიაში“. მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე მან სახელმძღვანელოდ გაიხადა „საქართველოს მოამბის“ რედაქტორის განცხადება: „...თუმცა გზა გახიდული გვქონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არცერთი ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატია, როგორც გული გვითხრობდა–ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ასე მოვიქცევით“. (ნ. ტაბიძის წერილები. 1978 წ.)

მართლაც, ივანე მაჩაბელი მტკიცე იდეურ ხაზს მიჰყვებოდა; მისი ყველა ნაწარმოები ერთი მისწრაფებით ხასიათდება.“ („ს.ო.“ 1989 წ. 8/II).

ბატონი ავთანდილი დაწვრილებით მიმოიხილავს ვანოს მოღვაწეობას „ივერიაში“ 1879 წლიდან–1883 წლის ჩათვლით. კერძოდ, ავტორის ინტერესთა სფეროში შედის საგაზეთო წერილები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვაზის ახალი მტერი“ („ივერია“ 1879 წ. №4), „ტყე და იმისი მნიშვნელობა“ (1879წ. №5–6)...

ცნობილი მკვლევარების, დავით გამეზარდაშვილისა და ალექსანდრე კალანდაძის შეხედულებით 1881 წლის „ივერიის“ თითქმის ყველა ნომერში რუბრიკით „ახალი წიგნები“ გამოქვეყნებული მასალა ი.მაჩაბელს ეკუთვნის. იგი მიმოიხილავს ზოგიერთ გამოცემას, კერძოდ, რ.ანდრონიკაშვილის წიგნს „ჩვენი საზოგადოება და მისი ეხლანდელი მიმართულება“. (თბ. 1880); „წყაროს“, ყრმათათვის საკითხავ წიგნს, გამოცემულს 1881 წელს ანთ. ჯუღელის რედაქციით, ყოველთვიურ სალიტერატურო და პოლიტიკურ ჟურნალ „იმედს“ და სხვ. ასევე საინტერესოა „ივერიის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული ივანე მაჩაბლის რეცენზია, დართული ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის პირველ გამოცემას (1881) რომელშიც ავტორი აღფრთოვანებული წერს: „კაცმა არ იცის რამ უფრო უნდა განაცვიფროს: ნამდვილ გრძნობათა გამოთქმამ, კაცის გულის სხვადასხვაობის გამოხატვამ თუ ენის მოქნილობამ თუ ძლიერებამ.“

ბატონმა ავთანდილმა ხაზი გაუსვა კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს, რომ ივანე მაჩაბელმა ქართული კრიტიკის ისტორიაში პირველმა მიუთითა ნ. ბარათაშვილის პოეზიის უდიდეს მნიშვნელობაზე, მშობლიური მწერლობის განვითარებისათვის.

როგორც ვანო ამბობდა: „მეოცდაათე და მეორმოცე წლები დაუვიწყარნი იქნებიან ჩვენი ღარიბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურისათვის. ამ დროს ალ. ჭავჭავაძის გრძნობით სავსე და წმინდა სანთელსავით ჩამოქნილ ლექსებს, რომელთა საგანი იყო ქალები, სიყვარული, ვარდი, წითელი კახური ღვინო, გაერია აგრეთვე გრძნობით სავსე, მაგრამ ხანდახან სხვა საგნებზედაც მომთქმელი ლექსები ნ.ბარათაშვილისა".

ერის მტკივნეული პრობლემებია წინა პლანზე ხელმოუწერელ სტატიაში „ნახული და გაგონილი" (1882წ №8) მასში ერის მოჭირნახულე მამულიშვილი გულისტკივილით სახალხოდ აცხადებს: „ნათქვამია „გიჟი ქორწილში შევიდა-ჩემს სახლს აქა სჯობიანო". სომხები აქამდის ფულით გვჯობნიდნენ, ახლა მალე თუ არ გავფრთხილდით, მამულიშვილითაც გვაჯობებენო..." და სხვა.

იმავე ნომერში საერთო სათაურით „ივანე მაჩაბლის დაბადებიდან 135 წლისთავისთვის" მოთავსებულია პროფესორ შოთა ქურდაძის გამოკვლევა „ივანე მაჩაბლის ერთი ლექსის შესახებ".

„მხედველობაში გვაქვს ლექსი „ოცნება", რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში" ი. ჭავჭავაძის ინიციატივით. ამ თხზულებას ნიკო ნიკოლაძემ „ასტრონომიული ლექსი" უწოდა, ხოლო მოგვიანებით მას ზოგად ასპექტში შეეხო „ივანე მაჩაბლის ცხოვრების" ავტორი ვახტანგ ჭელიძე." („ს. ო." 1989 წ. №27). მეცნიერი აღნიშნავს, რომ დღემდე ეს ლექსი საფუძვლიანი განხილვის საგანი არ ყოფილა. თუმცა ზემოთხსენებულ წიგნში (გვ. 214)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ჭელიძის მიერ მითითებულია: „ლექსი „ოცნება“ ნ. ბარათაშვილის პოეზიის აშკარა გავლენით არის დაწერილი“.

ბატონი შოთას ვარაუდით „ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან ერთად ასეთი ფანტასტიკურ -ფილოსოფიური და ღრმა სოციალური თხზულების დაწერისას მის ავტორს საკმაო შთაგონება უნდა მიეღო მისივე ახლო მეგობრის - ილია ჭავჭავაძისაგანაც.“

დასასრულ ნათქვამია, რომ ივანე მაჩაბელმა ამ ლექსში ნაცნობი თემის დამუშავებით დამაჯერებლად გვაზიარა მაღალ პოეტურ ცხოველმყოფელობას.

არაერთხელ თქმულა და დაბეჭდილა ვანო მაჩაბლის არაჩვეულებრივ მთარგმნელობით უნარსა და განსაკუთრებულ სცენისმოყვარეობაზე. ამის კიდევ ერთი უდავო დადასტურებაა ცნობილი ლიტერატურისმცოდნის, დოცენტის ნოდარ მესხრიკაძის წერილი „მსახიობთა ნიჭიერება ხიბლავდა.“

„ი. მაჩაბელი ქართულ თეატრში დიდი სახელით მოვიდა. პეტერბურგისა და საზღვარგარეთ უნივერსიტეტდამთავრებული, ენების მცოდნე, ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამშრომელი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა და მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თეატრის მიმართულების მიცემაში.

ი. მაჩაბელს ქართულ თეატრში მსახიობთა ნიჭიერება ხიბლავდა. სპექტაკლის წარმატებას მსახიობთა ოსტატურ გარდასახვაში, განცდით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია და ივანე მაჩაბელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაშში ხედავდა. მისი აზრით, „თეატრში კაცს უნდა უყვარდეს, რაც ღირსია სიყვარულისა, ე.ი. მსახიობი მისი თამაშით, წარმოდგენით და განცდით.“ მხოლოდ მსახიობის მიერ შექმნილ მართალ დამაჯერებელ სახეს შეეძლო მაყურებელზე ზემოქმედების მოხდენა. მისი მოსაზრებით თეატრში მთავარი ის კი არ არის, თუ რა სრულდება, მთავარი ის არის თუ როგორ სრულდება...“ („ს.ო.“, 1989 წ. №29).

ვანოს მთარგმნელობითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ერთგვარი სინანულით აღნიშნავს ბატონი ნოდარ მესხრიკაძე, მაჩაბლის 44 წლის ასაკში, იდუმალებით მოცულ ვითარებაში გაუჩინარებას. ეს ტრაგედია რომ არა, კიდევ რამდენით გაამდიდრებდა ქართულ ლიტერატურას. მან შექსპირის მხოლოდ რვა ტრაგედიის თარგმნა მოასწრო, ესენია: „მეფე ლირი“- ი. ჭავჭავაძესთან ერთად, „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეთი“, „რიჩარდ მესამე“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „კოროლანოსი“.

„შექსპირის ტრაგედიები მანამდე ითარგმნებოდა ქართულად („ოტელო“ - უცნობი მთარგმნელის მიერ 1844 წ. „ჰამლეტი“ - ლ. არდაზიანის მიერ 1858 წ; „რომეო და ჯულიეტა“ - ფრანგულიდან გადმოღებული დ. ყიფიანის მიერ 1859 წ.), მაგრამ ინგლისურიდან პირველად და თანაც კლასიკური თარგმანი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძესა და ი. მაჩაბელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს არის „მეფე ლირი“. აქვე უნდა აღვნიშნო, 1964 წელს, როცა მთელმა მსოფლიომ შექსპირის დაბადებიდან ოთხასი წლისთავი იზეიმა, სტრედფორში, შექსპირის სამშობლოში, სადაც ააგეს შესანიშნავი შენობა, რომელსაც „შექსპირული ცენტრი“ ეწოდა, იქ „გამოფენილ შექსპირის თარგმანების არცთუ ისე მრავალრიცხოვან უნიკალურ გამოცემებს შორის იყო ილიასა და ი. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „მეფე ლირის“ პირველი გამოცემაც.“ („ქართული შექსპირიანა“ გვ.7)

ა. ფურცელაძის „ჰამლეტის“ თარგმანის გამოცნობილი მწერალი და შექსპირის პიესების მთარგმნელი ვ. ჭელიძე შენიშნავს: „თარგმანს საერთოდ აკლია შექსპირის ენის ლაკონიურობა და დინამიურობა. არც გასაკვირია, ა. ფურცელაძე თარგმანებიდან თარგმნის, დიდი მწერლის ჯადოქრულ ენას ვერა. წვდება. მისი ფრაზის საოცარ მოქნილობას ვერ განიცდის.“ ამიტომ ბუნებრივი იყო ი. მაჩაბლის გადაწყვეტილება, ეთარგმნა იგი, რომ თარგმანი შესატყვისი ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ ამ ფაქტმა გაანაწყენა ა. ფურცელაძის მეგობრები, უსაყვედურეს მწერალს, ერთი თარგმანი ხომ იყო, მეორედ თარგმნას რატომ მოკიდე ხელიო. ამ ფაქტის გამო აღშფოთებულ ი. მაჩაბელს მწარედ და ნაღვლიანად უთქვამს ვ. გუნიასათვის: „საჭიროა სრული გარდაქმნა, გადახალისება, განსაკუთრებით ხელოვნების დარგში... არა, ცეცხლია საჭირო... დიდი გიზგიზა ცეცხლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სულ გადაბუგოს და ალში გახვიოს ჩვენი ჩამორჩენილობა.“

ივანე მაჩაბელს უთარგმნია გოლდონის კომედია „როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“, ფრანგულიდან გადმოუკეთებია „ადვოკატი მელაძე“ და სხვ.

მან უაღრესად დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს, ახალი ინტერესების სფერო შეუქმნა, წინ წასწია და განავითარა სასცენო მეტყველება.

იმავე წელს ამ პრობლემით დაინტერესდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თამილა გოგოლაძე. საგაზეთო მასალაში „შტრიხები ვანოს პორტრეტისათვის“ მოხმობილია ფაქტები ივ. მაჩაბლის თანამედროვეთა მოგონებებიდან, რომელთა დახმარებით ქალბატონმა თამილამ შემოქმედის მართლაც საინტერესო პორტრეტის დახატვა შესძლო.

„იშვიათად შემხვედრია ამისთანა მუშაკი, – შრომაც უყვარს და ხელიდან ბარაქაც გამოსდის (გიორგი თუმანიშვილი).

ვანო ჭკვიანი ბიჭია, ამასთანავე კარგი კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება (ილია).

ვანოსთან საუბარი არ იყო უბრალო დროის დაკარგვა. მას თქვენ შეჰყავდით თავის აზროვნების ლაბორატორიაში და აღტაცების ტალღები მიგაფრენდნენ დაუსრულებელი სივრცეებისაკენ... საქართველო, მისი წარსული და მომავალი ხშირად იყო თემად მისი გატაცებული საუბრისა. მე არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახსოვს უფრო გულწრფელი პატრიოტი. მის პატრიოტიზმს ამკობდა არა მარტო მჭევრმეტყველება მეგობართა შორის, არამედ სულით და გულით ვგრძნობდით მისი მეგობრები, თუ რაოდენი სიყვარული იყო ვანოს გულში საქართველოსადმი. ამ დროს ვანო უკვე მოსჩანდა, როგორც გატაცებული საზოგადო მოღვაწე. (მხატვარი დავით გურამიშვილი).

იმდროინდელი სტუდენტობა... სამშობლოსათვის მოციქულ-მოწამეებად ამზადებდნენ თავს... სწორედ ამგვარ წრეში იყო ჩამდგარი ი. მაჩაბელიც, ერთი თვალის გადავლებით, როგორც შევიტყვე, ის პირველთაგანი იყო (აკაკი).

ერთი იყო მაჩაბლის ნაკლი: ძალიან ფიცხი იყო, აჩქარებული, სწრაფი, რაც უნდა რთული საქმე ყოფილიყო, დიდხანს არ დააყოვნებდა, ფიცხლად გადაავლებდა თვალს და უმალ დასკვნას გამოიტანდა. დახანება, გადადება საქმისა არ უყვარდა. დღესვე უნდა გათავებულიყო, სახვალიოდ არ უნდა გადადებულიყო!

„ვანო ცეცხლი იყო. მუდამ სდუღდა და გადმოსდუღდა", „ვანო ქურციკივით ხტოდა, მითამაშებდა". (იაკობ მანსვეტაშვილი)" („ს.ო." 1989 წ.).

მცირე ბიოგრაფიული ექსკურსის შემდეგ ქალბატონი თამილა ერთგვარი სევდით, მაგრამ იმედით აღსავსე ამთავრებს წერილს:

„ქართველი ერი დღესაც ეძებს თამარ მეფის საფლავს, დღესაც იძიებს ილიას მკვლელობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმეს, დღესაც მიჰყვება მაჩაბლის უკანასკნელ საფეხურებს... ხსოვნა კი რჩება მარად სხივნათელ, გულმხურვალე მამულიშვილზე, ხსოვნა მისთა ღირსეულ საქმეთა სახით."

გაზეთმა ი. მაჩაბლის თემას სხვა დროსაც მიაქცია ყურადღება: „ივანე მაჩაბლის დაკარგვა XIX ს–ის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების არანორმალურობას მოწმობს ისევე, როგორც ამას მოწმობს ნ. ბარათაშვილის, სოლ. დოდაშვილის, სერგეი მესხის, ალ. ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, ჭოლა ლომთათიძის და სხვა ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების ტრაგიკული ბედი" – აღშფოთებული აცხადებს ბატონი გერონტი ქიქოძე თავის საგაზეთო სტატიაში „ივანე მაჩაბელი." („ს.ო" 1986წ. №28).

იგი ზოგადად ეხება ვანოს ბიოგრაფიულ ცნობებს, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღო, ხოლო სპეც. აგრონომიული – ინგლისსა და საფრანგეთში. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ მიწვეული იქნა ჟურნალ „ივერიის" თანარედაქტორად. სერგეი მესხის ჯანმრთელობის გაუარესების გამო მაჩაბელი კისრულობს გაზეთ „დროების" რედაქტორობას. გაზეთის დახურვის შემდეგ მუშაობს ქართულ ბანკში და მთელი ამ ხნის განმავლობაში დროგამოშვებით უბრუნდება თარგმნას. ამ საქმეს იგი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება და სწორედ ამის გამო მთელი ოცი წლის მანძილზე ასწრებს



ივ. მაჩაბლის სახლ–მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ რამდენიმე ტრაგედიის გადმოთარგმნას.

ხსენებული სტატიის ავტორი ასაბუთებს ვანოს თარგმნის ხელოვნების ორიგინალობას. უჩვენებს, რომ ქართულ ენას აქვს ჯერ კიდევ გამოუყენებელი მარაგი, რომ ის გამოდგება არა მარტო ისტორიული ქრონიკების შესადგენად, არამარტო რელიგიური და ეროტიკული განცდების გამოსახატავად, არამედ უღრმესი ფილოსოფიური და ეთიკური იდეების გადმოსაცემადაც.

„საბჭოთა ოსეთი" პერიოდულად აქვეყნებს მასალებს ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის რემონტ-რესტავრაციის შესახებ.

ამ თვალსაზრისით აუცილებელი აღნიშვნის ღირსია დამსახურებული ჟურნალისტის, ბატონი ვასილ საბანაძის მიერ 1980 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებული წერილი „დიდი საშვილიშვილო საქმე."

ბატონი ვასილი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ:

ძვირფასია ჩვენთვის ვანო მაჩაბლის სახელი. მან საშუალება მისცა ქართველ ხალხს მშობლიურ ენაზე გასცნობოდა დიდ შექსპირს. ვ. მაჩაბელი საინტერესოა როგორც პიროვნებაც, ნაყოფიერი, მრავალფეროვანია მისი ცხოვრება, ამიტომ მეტად საჭიროა ერთად იყოს თავმოყრილი ამ საზოგადოებრივი მოღვაწის გარშემო არსებული მასალები."

თამარაშენში ჟამთა სვლით, უყურადღებობითა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და უპატრონობით გაპარტახებულ ლამის ნასახლარად ქცეული, მაგრამ მაინც დიდებული გემოვნებით ნაგები ივ. მაჩაბლის სახლ–მუზეუმის მშენებლობა–რესტავრაციის პრობლემაა წინწამოწეული იმავე წელს დაბეჭდილ გ. ოსიძის წერილში „ხელისშეწყობა მართებთ."

„ბრძენს უთქვამს – ერის სიდიდე იმით განიზომება, – წერს იგი – თუ რამდენი გამოჩენილი მწერალი ჰყავსო. ადგილის უკვდავმყოფელი, დიდი მამულიშვილია. ივ. მაჩაბლის სახელიც თამარაშენს უკავშირდება და მაშასადამე, არასოდეს წაიშლება ცხინვალზე მიბმული ამ პატარა სოფლის სახელიც." („ს.ო" 1980 წ. 15–XI).

ამ პრობლემას ეხმაურება ციალა კახნიაშვილის წერილებიც: „მაჩაბლისეულ ფუძეზე" და „მუზეუმმა თვალში გამოიხედა."

ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ დღეებში დიდი სტუმრიანობა ჰქონდა სოფელ თამარაშენში ივანე მაჩაბლის სახლ–მუზეუმს. თითქმის ყველა მასზე მზრუნველმა მოიყარა აქ თავი. სრულიად საქართველოს ივ. მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ შარაძემ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ირაკლი ციციშვილმა, ძეგლთა დაცვისა და სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორმა ნოდარ კუჭავამ, პროფესორმა ვახტანგ ცინცაძემ და სხვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღით ერთ მამულიშვილურ საქმესაც ჩაეყარა საფუძველი მაჩაბლისეულ ფუძეზე. პროფესორ ირაკლი ციციშვილთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ ივ. მაჩაბლის საზოგადოების რეგიონალური გამგეობის წევრთაგან შეიქმნებოდა ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს შიდა ქართლის რეგიონალური სამშენებლო–სარესტავრაციო უბანი, რომელიც რეგიონში არსებული ძეგლების რესტავრაციას აწარმოებს."

დასასრულ, ყურადღება გამახვილებულია მეორე დღეს, იმავე საკითხის ირგვლივ გამართული სხდომის შედეგებზე. („ს.ო." 1982 წ. №242; 1990 წ. №142)

გამოქვეყნებულია ფოტომასალა.

P.S. „ივ. მაჩაბლის შემოქმედების, მოღვაწეობის თაყვანისმცემლები სამართლიანად მოითხოვდნენ მის მშობლიურ სოფელ თამარაშენში გახსნილიყო სახლ–მუზეუმი. ზემდგომ ორგანოებში დადებითად გადაწყდა ეს საკითხი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 ივლისის განკარგულების საფუძველზე დაიწყო ივ. მაჩაბლის სახელობის შემოქმედებითი სახლ–მუზეუმის კომპლექსური რემონტი–რესტავრაცია. საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანების და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის დაკვეთით რემონტ რესტავრაციას აწარმოებს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულ-

ივ. მაჩაბლის სახლ–მუზეუმი აფეთქების შემდეგ

ტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო–სარესტავრაციო გაერთიანება...“ („ს.ო. 1980 №134).

ვკითხულობთ ბატონი ვასილ საბანაძის იმედის მომცემ სტრიქონებს, როდესაც ფრთები შეესხა მრავალწლიან ოცნებას. ერის მოჭირნახულე მამულიშვილთა უდიდესი ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა ვანო მაჩაბლის სახლ–მუზეუმის გახსნა. მაგრამ ვაი, რომ ვერ მოვუფრთხილდით, ვერ შევინარჩუნეთ...

გასული 1887 წლის 23 ივლისს მოხდა შემზარავი ფაქტი. იგი ერთ–ერთ სამარცხვინო ფურცლად ჩაეკვრება საქართველოს ისტორიაში. ქართველი ხალხის მტრებმა შუაღამისას ააფეთქეს სახლ–მუზეუმის შენობა. დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ კვლავ არსებობენ ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევს ერთიანი, ძლიერი საქართველო და ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუშალონ ოსურ–ქართული კონფლიქტის მოწესრიგებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჩაბლები და გორის თეატრალური ცხოვრება

ქართველი ერის არსებობის ზოგიერთი ეტაპი განახლებისა და ახალი მწვერვალების დაუფლების უზომო წყურვილით ხასიათდება და რასაკვირველია ეს პროცესი კულტურის სფეროსაც ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით განსაკურებით საინტერესო ქართული თეატრალური ცხოვრების ისტორია, ჩამოყალიბებიდან უამრავ ათწლეულს ითვლის.

თბილისში 1879 წელს მუდმივი ქათული თეატრალური დასის შექმნას განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა გორელ სცენისმოყვარეთა წრე. იგი გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა და იტვირთა საპატიო მისია ხელოვნებისმსახურებისა. გორელმა სცენისმოყვარეებმა ინტენსიური თანამშრომლობა გააჩაღეს ახალშობილი მუდმივი დასის მსახიობებთან. მათთან ერთად აწყობდნენ წარმოდგენებს გორში, ცხინვალში, ხაშურში. მალე სახელიც გაითქვეს, მაგრამ უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ შორის კი უმთავრეს წინააღმდეგობას სცენის უქონლობა წარმოადგენდა.

ამ რთული ვითარების ფონზე მისათითე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ის ფაქტიც, რომ ეს ყოველივე ხდება გორში, გორელები კი საკმაოდ გულისხმიერი და განათლებისაკენ მსწრაფი ხალხია. ნათქვამს მოწმობს თუნდაც ავთანდილ თუმანიშვილის ნაწყვეტი შრომიდან „აღწერილობა ქართული ქალაქის გორისა.“ (1816 წ. პეტერბურგი).

„ისინი (გორელები – ა.მ.) ცხოვრობენ ურთიერთთან თანხმობით და ერთსულოვნად; არიან შრომის მოყვარენი, მარდნი და მოხერხებულნი; ტყუილსა და გაუტანლობას მეტისმეტად გაურბიან; არიან შემწყნარებელნი – თვინიერ ფლიდობისა, ბედნიერნი – თვინიერ ქედმაღლობისა, უბედურნი – თვინიერ სასოწარკვეთილებისა, საზოგადოებაში – თავაზიანნი, მეგობართმოყვარენი, მხიარულნი, ბრძოლის ველზე – გულადნი, შემმართებელნი და შმაგნი; დაბოლოს, გაბედულნი და უშიშარნი. სიტყვამოსწრებულნი და ენამეტყველნი. გარნა ერთი რამ შეიძლება ჩავთვალოთ მანკიერებად – ბევრი ლაპარაკი უყვართ, თუმცა ამ შემთხვევაშიაც უგუნურს არას იტყვიან; სახეზე ოდნავ ამპარტავნობის იერი სდევთ; ტანით – დიდნი და მკვრივნი, სანახაობით დარბაისელნი და ახოვანნი...“

ასეთი დახასიათების შემდეგ საგსებით რეალურია, რომ ახლადფეხადგმულ გორელ დასს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მფარველად მოევლინნენ ისეთი კეთილშობილი ადამიანები, როგორიც იყვნენ ნ. დიასამიძე და ა. თუთაევი.

ნ. დიასამიძე – ქართული თეატრის მოამაგე და მეცენატი, გადმოცემით იგი თავისი საკუთარი ურმებით ეზიდებოდა ქვიშას და აგურის ნატეხებს ჭაობის ამოსაშრობად. ამ ადგილზე შემდეგ ა. თუთაევის დახმარებით, საკუთარი სახსრებით გამართა ე.წ. „როტონდა“, ადგილი სცენისათვის. მათ საკუთარი წვლილიც შეჰქონდათ თეატრის რეპერტუარის გამრავალფეროვნების საქმეში, თანამშრომლობდნენ პრესაშიც. ნ. დიასამიძის ჭეშმარიტად კეთილშობილური სულის გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი ქონება მან ქართველ საზოგადოებრიობას უანდერძა.

გაზეთ „თემის“ ფურცლებზე (1911 წ. №4) ს. მგალობლიშვილი წერდა: დაუფასებელი ღვაწლი დასდეს გორის სცენას ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ, ასე რომ მომავალი მემატიანე ჩვენი თეატრის აღორძინებისა უყურადღებოდ არ დასტოვებს იმათ ღვაწლს. ეს ორნი ყველა საზოგადო ქართულ საქმეს ხელს უწყობდნენ.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენთვის, აღვნიშნოთ ნ. დიასამიძის მეგობრული ურთი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთდამოკიდებულება ჩვენი მხარის ღირსეულ შვილთან, ვანო მაჩაბელთან, რომლის პორტრეტის შესაქმნელად დავითაშვილის მიერ სუფთა ქართულის მოტრფიალის მ. ჯავახიშვილისადმი ნათქვამი სიტყვებიც კმარა: „თუ გინდა მშვენიერი ქართული ისწავლო, წადი თამარაშენში ან ქურთაში, იქ ყველაზე საუკეთესოდ ლაპარაკობენ, გლეხებიც კი ლიტერატურულ ენას დაუფლებიან. სხვა არა იყოს რა, ვანო მაჩაბელი იქაა დაბადებული. შექსპირი მიუწვდომლად აქვს ნათარგმნი“.

(ქ. რჩეულიშვილი – „მ. ჯავახიშვილი და საქართველო“)

სწორედ ეს ჭეშმარიტი ერის შვილი და საზოგადო მოღვაწე ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს გორელ მეზობლებს.

ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა წარმოდგენების გამართვა, ისევ როტონდა იყო,– წერს გ. ბუხნიკაშვილი წიგნში „გორის თეატრი“ (გვ.28), – მაგრამ ის ნახევრად დანგრეული აღმოჩნდა, ხოლო როტონდის ბაღი უპატრონობისაგან ჭაობად იყო ქცეული. როტონდის შეკეთება ითავეს ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ. სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს: „... ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ იკისრეს გაკეთება თავის ხარჯითა. ამათ დაეხმარნენ

სხვანიც.

ივანე მაჩაბელმა თხუთმეტი თუმანი გადასცა ამ სცენისათვის, ნ. დიასამიძე, რომელიც იმ დროს დიდი სახლის შენებას შეუდგა გორში, აძლევდა მუქთად ხის მასალას: ფიცრებს, ფოშტებს, წვრილ ფიცრებს, აგურს; დანარჩენი რაც დააკლდა, თუთაევმა თავის ჯიბიდან დახარჯა. სულ დაჯდა გადაკეთება, სცენის გამართვა, ორი საპირფარეშოს მოწყობა, ხის სკამების დადგმა ორმოცდაათ თუმნამდე. თუთაევს და დიასამიძეს დიდი შემწეობა აღმოუჩინა არტილერიის კაპიტანმა ნელიუბინმა. ეს ძალიან განვითარებული კაცი იყო, პატიოსანი, მეგობრობა ჰქონდა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციასთან. თითქმის სულ ჩვენთან იყო, იცოდა გვარიანად მხატვრობა, ამან თავისი ხარჯით დახატა ფარდა, მოაწყო კულისები."

პირველი წარმოდგენა „სცენის მოყვარულთა საზოგადოებამ" გამართა 1877 წლის 3 მარტს. ამ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი ქართული პრესა, კერძოდ გაზ. „დროება" (1877, №27) წერდა: „რაც შეეხება თითონ თამაშობას, ისეთნაირად მოხერხდა, რომ მოსალოდნელიც არ იყო. ბევრი ნაწილი აქტიორებისა სრულებით გამოუცდელნი იყვნენ თეატრის საქმეში, მაგრამ საქმე ისე გვარიანად წაიყვანეს, მეტად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ქალებმა, რომ დახელოვნებულ მოთამაშეთ მიიღებდით...“

ქართული პერიოდიკა არც მომავალ წლებში აკლებდა მათ ყურადღებას და არაერთხელ გაუმხნევებია.

1909 წელს, როდესაც გორელმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ნატო გაბუნიას იუბილე, გორში უკვე ფუნქციონირებდა ე.წ. „სახალხო თეატრი“, რომელიც ადგილობრივი რკინიგზის მუშა მოსამსახურეთა უდიდესი მონდომების ნაყოფი გახლდათ. რაოდენ სამწუხაროა, რომ თეატრმა ვერ გაუძლო შექმნილ რთულ პირობებს და მალე დაიხურა. თუმცა თავისი კვალი უდავოდ დატოვა გორის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

გვინდა ზემოთხსენებული თეატრის ცხოვრებიდან ერთი ფაქტი მოვიყვანოთ. ნატო გაბუნია – ცაგარელის საიუბილეოდ იქ წარმოადგინეს (1909 წ. 26/XII) ა. ცაგარელის პიესა „ხანუმა“, მასში თვით იუბილარმაც მიიღო მონაწილეობა, ხოლო შემდგომ გამართულ საიუბილეო საღამოზე მისალოცი სიტყვით გამოვიდა სამაჩაბლოს თეატრის დიდი ქომაგი და მოყვარული ზაალ მაჩაბელი. ზ. მაჩაბელმა მოიგონა გასული საუკუნის 70–იანი წლების მიწურული, როდესაც ერთად დაიწყეს მოღვა-

წეობა ახლადშექმნილ მუდმივ დასში და
რასაკვირველია გორშიც ჩამოსულან წარმოდ-
გენების გასამართად.

ამდენად, ფაქტების ინტერპრეტირება იძლე-
ვა მკაფიო წარმოდგენას იმის თაობაზედ, რომ
მაჩაბელთა უდიდესი გვარის ცნობილი თეატრა-
ლური მოღვაწენი და მათი სახით სრულიად
საქართველო დაუზარებლად ზრუნავდნენ მეზო-
ბელი ქალაქის თეატრალური კულტურის გან-
ვითარება – ფრთაგაშლის საშვილიშვილო
საქმეზე.

ეს კი, ცხადია წარსულში ღრმად ფესვგამ-
დგარი მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი და-
დასტურებაა.

შინაარსი

ივ. მაჩაბელი და ცხინვალის ქართული გაზეთი
თეატრალური ცხოვრების შესახებ 3

ივ. მაჩაბელი „საბჭოთა ოსეთის“
ფურცლებზე 15

მაჩაბლები და გორის თეატრი 41

№ 387
5/III 1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კორექტორები:
ც. თინიკაშვილი, ვ. მღებრიშვილი

ფორმატი 70/91 1/3 თაბახი 3
ტირაჟი 500
ფასი სახელშეკრულებო

აიწყო და დაკაბადონდა „ქართლის“
კომპიუტერულ ცენტრში.

98-387
ეროვნული
ბიბლიოთეკა